ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №45

11.06.2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, თარაშ შურღაია, ლევან ჟორჟოლიანი, ლევან ხაბეიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

მოწვეული სტუმრები:

1. გიგა გიგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. თამარ შარაშიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მოადგილე;
3. მარიამ ბერუაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
4. ნანა აღლემაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
5. ლევან ჯღარკავა - შპს ,,თბილსერვის ჯგუფის" დირექტორი;
6. დავით ჩანქსელიანი - შპს ,,თბილსერვის ჯგუფის" წარმომადგენელი;
7. ნანა ჯანაშია - კავკასიის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი CENN-ს წარმომადგენელი;
8. გოჩა ლობჟანიძე - კავკასიის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი CENN-ს წარმომადგენელი;
9. ნინო თევზაძე - კავკასიის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი CENN-ს წარმომადგენელი;
10. კახა რუხაია - კავკასიის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი CENN-ს წარმომადგენელი;
11. ნინო შავგულიძე - კავკასიის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი CENN-ს წარმომადგენელი;
12. ნინო ჩხობაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია - „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები"-ს წარმომადგენელი;

13. გიორგი დარსაველიძე - „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები“-ს წარმომადგენელი;
14. მარიკა ფიროსმანაშვილი - „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები“-ს წარმომადგენელი;
15. ცაცა ჟორდანია - „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები“-ს წარმომადგენელი;
16. ნიკოლოზ ინაშვილი - „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები“-ს წარმომადგენელი.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის“ პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის გ. გიგაშვილის 2019 წლის 24 აპრილის №15-031911312-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - „დედაქალაქის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის“ პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის გ. გიგაშვილის 2019 წლის 24 აპრილის №15-031911312-03 წერილი)

სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა ერეკლე კუხიანიძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსის) გ. გიგაშვილის 2019 წლის 24 აპრილის

№15-031911312-03 წერილით, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად, „მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი სამოქმედო გეგმის“ პროექტის საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენამდე, საჯარო განხილვის ჩატარების მიზნით, კომისიაში წარმოდგენილი იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა“.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გ. გიგაშვილმა.

მომხსენებელი (გ. გიგაშვილი) მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საჯარო განხილვაში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა.

მომხსენებელმა (გ. გიგაშვილი) ისაუბრა „მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი სამოქმედო გეგმის“ პროექტის შემუშავების პროცესის, მისი შინაარსისა და ძირითადი პრინციპების შესახებ. ბ-ნი გ. გიგაშვილის განმარტებით, წარმოდგენილ დოკუმენტს საფუძვლად უდევს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებით (შეთანხმებით) ნაკისრი ვალდებულებები, რომელთა შორისაც ერთ-ერთია ნარჩენების მართვა (ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანოების განსაზღვრა, ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება ნარჩენების ხუთსაფეხურიანი სისტემის იერარქიის შესაბამისად და ნარჩენების პრევენციის პროგრამების შემუშავება, ხარჯების ამოღების მექანიზმის შემოღება პრინციპით „დამაბინძურებელი იხდის“, ნაგავსაყრელების კლასიფიკაცია და სხვ.).

ბ-ნმა გ. გიგაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი გეგმა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“, „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის პირველი აპრილის №160 დადგენილების მოთხოვნებსა და ზოგად პრინციპებს. გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები გაწერილია და განხორციელდება როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ბატონი გ. გიგაშვილის გამოსვლის შემდეგ, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის“ პროექტის თაობაზე ისაუბრა ქ-ნმა თ. შარაშიძემ. მისი ინფორმაციით, 2015 წელს ძალაში შევიდა კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს ინსტიტუციურ პასუხისმგებლობას საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვაზე. კოდექსი ასევე ადგენს მუნიციპალიტეტების ვალდებულებებს ნარჩენების მართვის ერთიან ეროვნულ ინტეგრირებულ სისტემაში. კოდექსის თანახმად, ყველა მუნიციპალიტეტი ვალდებულია მიიღოს საკუთარ ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა. თბილისის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა განსაზღვრავს მომავალი ხუთი წლის (2019-2024 წ.წ.) განმავლობაში განსახორციელებელ

იმ ღონისძიებებს, რომლებიც მყარ საფუძველს შექმნის ნარჩენების მდგრადი და ეფექტიანი მართვის სისტემის ჩამოყალიბებისთვის. გეგმის ფარგლებში განისაზღვრება თბილისში ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, აღდგენისა და განთავსების პროცესების არსებული სტატუსი და საჭირო გაუმჯობესებები.

გეგმის ძირითადი მიზნებია:

- მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნის პრევენციის ხელშეწყობა;
- მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის ეტაპობრივი დანერგვა, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ უკვე დაიწყო 2018 წლიდან;
- მუნიციპალური ნარჩენების აღდგენის სისტემის ეტაპობრივი დანერგვა და ხელშეწყობა;
- ნარჩენების კონტეინერებთან თბილისის მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- მუნიციპალური ნარჩენების (სეპარირებული და შერეული) შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანობისა და ხარჯთეფექტიანობის გაუმჯობესება;
- დიდი ლილოს ნაგავსაყრელის სისტემების რეაბილიტაცია და უჯრედების დახურვა;
- მუნიციპალიტეტის ფარგლებში არსებული სტიქიური ნაგავსაყრელებისგან მოსალოდნელი გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება;
- ნარჩენების მართვის მოსაკრებლის ინსეტიური სისტემის დანერგვა;
- სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენების განთავსების სისტემის მოწესრიგება;
- მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვის პროცესის მხარდაჭერა, რომელიც ამოქმედდება 2019 წლის ბოლოდან, ხოლო წინა მოსამზადებელი ღონისძიებები განხორციელდა ნარჩენების მართვის ასოციაციასთან ხელშეკრულების გაფორმების სახით, რომლის ფარგლებშიც, ნარჩენების მართვის ასოციაციის წევრი კერძო კომპანიები თავად უზრუნველყოფენ ნარჩენების დახარისხება/სეპარირებას (პლასტმასი, მეტალი, რკინა, მინა, ქაღალდი და სხვა), გატანას და გადამუშავებას;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ამ მიმართულებითაც ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის სტენდების განთავსება დედაქალაქის სხვადასხვა ცენტრალურ უბნებში.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები დასვა ბ-ნმა ლ. ხაბეიშვილმა - მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის შემუშავებამდე არსებული ვითარების, სტრატეგიისა და განხორციელებული ღონისძიებების, შესრულებული სამუშაოების, ასევე, ლილოს მყარი ნარჩენების პოლიგონის პრობლემის მოგვარების მიზნით განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე.

ბ-ნი ლ ხაბეიშვილი ასევე დაინტერესდა:

- ლილოს საყოფაცხოვრებო პოლიგონზე სამშენებლო კომპანია „დაგი“-ს მიერ შესრულებული სამუშაოების საკითხით. კერძოდ, ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია „დაგი“-მ აწარმოა სამშენებლო სამუშაოები, მაგრამ არასწორი სამშენებლო პროცესების გამო, სამუშაოები არ დასრულებულა. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ კომპანიას ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ნაწილი მაინც გადაერიცხა.

- თბილისში, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემგროვებელი კონტეინერებისა და ურნების საკითხით. მისი აზრით, თბილისის ცენტრალურ უბნებში მიწისქვეშა ურნების დამონტაჟება მისასალმებელია, მაგრამ გარეუბნებში პრობლემა დროულად მოსაგვარებელია.

ბ-ნმა ლ. ხაბეიშვილმა ასევე, ყურადღება გაამახვილა ნარჩენების გადამზიდავი ავტომანქანების მდგომარეობაზეც და აღნიშნა, რომ, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, ნარჩენების გადამზიდავი ავტომანქანების გაუმართაობისა და სიძველის გამო, ნარჩენების გადაზიდვის შემდეგ, თბილისის ქუჩებში დგას უსიამოვნო სუნი და რჩება ნარჩენებისგან წარმოქმნილი წყალი.

ბ-ნი ლ. ხაბეიშვილის მიერ დასმულ შეკითხვებს პასუხი გასცეს ქ-ნმა თ. შარაშიძემ და ბ-ნმა ლ. ჯღარკავამ.

ქ-ნი თ. შარაშიძის განმარტებით, 2015 წლამდე არ არსებობდა შესაბამისი სამართლებრივი ბაზა, რომელიც მოაწესრიგებდა ნარჩენების მართვის სისტემას, ხოლო 2015 წელს ძალაში შესულმა ნარჩენების მართვის კოდექსმა დაარეგულირა და გაწერა შესაბამისი ღონისძიებები და მისი განხორციელების ვადები. თბილისის მყარი ნარჩენების პოლიგონი 2010 წელს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოეწყო და იგი თბილისში წარმოქმნილი ნარჩენების განთავსების ძირითადი ადგილია. თუმცა საჭიროა მისი კონფიგურაციისა და ძირითადი კომპონენტების ოპტიმიზაცია (საიზოლაციო ფენის ოპტიმიზაცია, ნაჟური წყლების შეგროვებისა და გაწმენდის სისტემების რეაბილიტაცია, ნაგავსაყრელის გაზის შემკრები და გაწმენდის სისტემების დამონტაჟება, ასევე ნაგავსაყრელის პირველი და მეორე უჯრედის დახურვა). აღნიშნული სამუშაოების ნაწილი უკვე დაწყებულია.

ლილოს მყარი ნარჩენების პოლიგონთან დაკავშირებით, ბ-ნმა გ. ტყემალაძემ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდა სხდომის მონაწილეებს და აღნიშნა, რომ მყარი ნარჩენების პოლიგონის სისტემების რეაბილიტაციის მიზნით დედაქალაქის ხელისუფლების მიერ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. ამ მიმართულებით „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის“ (EBRD) მხარდაჭერით გამოიყო სესხი ლილოს პოლიგონზე წყლის გამწმენდი სისტემის მოსაწყობად, ასევე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია შესაბამისი თანხა. აღნიშნული მიმართულებით დაგეგმილია საკმაოდ სერიოზული ღონისძიებების გატარება, რომელიც მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებლების ინტერესების გათვალისწინებით განხორციელდება. ერთადერთი პრობლემაა, ინფორმაციის საზოგადოებამდე მიტანა, რაზეც აქტიური

სამუშაოებია გასატარებელი. აუცილებელია საზოგადოებას მიეწოდოს ინფორმაცია, თუ რა გაკეთდა, რა კეთდება და რისი გაკეთება იგეგმება სამომავლოდ.

ბ-ნმა ლ. ჯღარკავამ ისაუბრა დიდი ლილოს მყარი ნარჩენების პოლიგონის მოწყობის, შემდგომში განხორციელებული სამშენებლო სამუშაოსა და არსებული პრობლემების თაობაზე. მისი განმარტებით, 2015 წელს გამოცხადებული სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში, ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია „დაგი"-მ ლილოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე შეასრულა გარკვეული სამუშაოები. თუმცა, კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოების ნაწილი დღემდე კვლევის საგანია, რადგან ჩამოიშალა შენობის ნაწილი, რის გამოც, კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება მოიშალა, შეჩერდა პროექტი და შენობის ნაწილის ჩამოშლის გამომწვევი მიზეზების შესასწავლად, იმის გამო, რომ საქართველოში მსგავსი ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებელია, მოიწვიეს უცხოელი ექსპერტები. კომპანიას გადაერიცხა მხოლოდ გაწეული მომსახურების თანხის ნაწილი. როგორც კი უცხოელი ექსპერტები ჩაატარებენ კვლევას და დადებენ დასკვნას, გამოცხადდება ახალი ტენდერი.

ბ-ნმა ლ. ჯღარკავამ აღნიშნა, რომ დიდი ლილოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე ნაჟური წყლების შემკრები სისტემის შესყიდვა განხორციელდა. ნაწილობრივ მოეწყო გაზშემკრები სისტემა. იგეგმება პირველი და მეორე უჯრედის დახურვა. ასევე, ხორციელდება ავტოპარკის განახლება. ამ ეტაპზე, შესყიდული და შემოყვანილია 25 ერთეული ნარჩენების გადამზიდავი ავტომანქანა; დამატებით იგეგმება 75 ახალი ერთეულის შესყიდვა. ასევე, შესყიდულია 1000 ერთეულზე მეტი კონტეინერი; იგეგმება თანამედროვე ტიპის ურნებისა და კონტეინერების შესყიდვა.

შეკითხვა დასვა ბ-ნმა ლ. ხაბეიშვილმა: სტიქიური ნაგავსაყრელების პრობლემის მოგვარების შესახებ და მაგალითად მოიყვანა ე.წ. „კაკლების უბანში" თვითნებურად მოწყობილი სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელი.

ბ-ნი ლ. ხაბეიშვილის შეკითხვას პასუხი გასცა ქ-ნმა თ. შარაშიძემ. მისი ინფორმაციით, სტიქიური ნაგავსაყრელების პრობლემა და მისი გადაწყვეტის გზები მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. თბილისის ტერიტორიაზე არსებობს რამდენიმე იდენტიფიცირებული სტიქიური ნაგავსაყრელი (მუნიციპალური და სამშენებლო), ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა, რათა მოხდეს ასეთი ნაგავსაყრელების იდენტიფიცირება და შემდეგ, დახურვა/რემიდიაცია. წარმოდგენილი დოკუმენტის მიღების შემდეგ სამსახური აპირებს სტიქიური ნაგავსაყრელების პრობლემის მოსაგვარებლად დეტალური გეგმის შემუშავებას, სადაც გაწერილი იქნება კონკრეტული ღონისძიებები და მათი განხორციელების ვადები. მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, თბილისში დანაგვიანებისთვის ჯარიმების დაკისრებაზე პასუხისმგებელია სამი უწყება: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია.

აზრი გამოთქვეს:

ბატონმა გ. ტყემალაძემ, რომლის აზრით, სტიქიური ნაგავსაყრელების პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა ზედამხედველობის გამკაცრება.

ბ-ნმა გ. გიგაშვილმა, რომლის ინფორმაციით, არსებული მონაცემებით, უშუალოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ, თვეში, დაახლოებით, 70-მდე ჯარიმა იწერება, მაგრამ პრობლემას უფრო აღრმავებს უშუალოდ სამართალდამრღვევი პირების გამოვლენის შეუძლებლობა. მიუხედავად მონიტორინგისა და პრევენციული ღონისძიებებისა, ასევე, მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლების 24საათიანი პატრულირებისა, მაინც ხდება არასათანადო ტერიტორიებზე ნარჩენების დაყრა.

ქ-ნმა ნ. ჩხობაძემ ისაუბრა თბილისის ნარჩენების მართვის შეფასების იმ დოკუმენტებზე, რომელიც მიღებული იყო 1999 და 2007-2008 წლებში.

ქალბატონმა ნინო ჩხობაძემ ასევე ყურადღება გაამახვილა ლილოს ნაგავსაყრელის პოლიგონის თემაზე, რომელიც, მისი აზრით, მიზანშეწონილია, გეგმაში ცალკე თავად გაიწეროს.

ქალბატონმა ნინო ჩხობაძემ სხდომის მონაწილეებს გააცნო ის რეკომენდაციები, რომელიც სასურველია აისახოს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმაში“:

- საჭიროა კომერციული კომპანიებისა და მოსახლეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების გამიჯვნა და კომერციულ კომპანიებთან სახელშეკრულებო სისტემაზე გადასვლა დიფერენცირებული მოსაკრებლის (ფასის) დაწესებით. ამ მიმართულებით საჭიროა დეტალური გეგმის შემუშავება და კერძო სექტორის ნარჩენების მართვის სისტემის ცალკე თავად გაწერა.
- საჭიროა სამშენებლო და ინერტული ნარჩენების გატანასთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივება. კერძო პირებისთვის უფრო ადვილია ინტერნეტით სამშენებლო ნაგვის გატანის შეკვეთა და ამ მიმართულებით მომუშავე კერძო პირებისა თუ კომპანიების დახმარებით სამშენებლო ნაგვის გადაყრა.
- სეპარირების სისტემაზე გადასვლასთან ერთად საჭიროა ავტოპარკის განახლება, მათ შორის საერთაშორისო, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, ნარჩენების შემკრები და გადამზიდავი, 4 კამერიანი ავტომანქანების შეძენა.
- მტკვრის თემის გათვალისწინება გეგმაში, რადგან ხშირია მტკვარში ნარჩენების, განსაკუთრებით სამშენებლო და ინერტული ნაგვის ჩაყრის ფაქტები.
- გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ზუსტი დაფინანსების ოდენობისა და წყაროების მითითება.
- სახიფათო ნარჩენების სეპარირების გეგმის შემუშავება და განხორციელება დეპოზიტური სისტემით. მიუხედავად იმისა, რომ სახიფათო ნარჩენების მართვა არ განეკუთვნება მუნიციპალიტეტის კომპეტენციას, აუცილებელია, თბილისმა, როგორც დედაქალაქმა დაიწყოს ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

ქალბატონმა თ. შარაშიძემ აღნიშნა, რომ საქალაქო სამსახური მუშაობს მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგიაზე, რომლის მიხედვითაც მომზადდება დეტალური გეგმები კონკრეტული ღონისძიებების და დაფინანსების მითითებით. ხოლო წარმოდგენილი დოკუმენტი, სამომავლოდ, შეიძლება შეიცვალოს იმ საჭიროებების მიხედვით, რომელიც სამუშაო პროცესში, ღონისძიებების განხორციელებისას გამოიკვეთება.

სხდომის დასასრულს, სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა ერეკლე კუხიანიძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას „დედაქალაქის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის“ საჯარო განხილვაში მონაწილეობისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე